

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია **A/RES/63/307**

გენერალური ასამბლეა

2009 წლის 30 სექტემბერი

სამოცდამესამე სესია

დღის წესრიგის მე-13 პუნქტი

გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია

(**მთავარ კომიტეტებში გადაცემის გარეშე**)

63/307 აფხაზეთიდან, საქართველო, და ცხინვალის რაიონიდან/სამხრეთი ოსეთი, საქართველო, ადგილნაცვალ პირთა და ლტოლვილთა მდგომარეობა

გენერალური ასამბლეა,

ეყრდნობა რა თავის ყველა შესაბამის რეზოლუციას ადგილნაცვალ პირთა დაცვისა და დახმარების შესახებ, თავისი 2007 წლის 18 დეკემბრის 62/153 და 2008 წლის 15 მაისის 62/249 რეზოლუციების ჩათვლით,

ეყრდნობა რა აგრეთვე უშიშროების საბჭოს ყველა შესაბამის რეზოლუციას საქართველოზე შესახებ იმისა, რომ ყველა მხარისათვის აუცილებელია, მიაღწიონ ყოვლისმომცველ მშვიდობას და ადგილნაცვალ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნებას თავიანთი წარმოშობის ადგილებზე და ხაზს უსვამს რა მათი სრული და დროული განხორციელების აუცილებლობას,

აღიარებს რა ხელმძღვანელ პრინციპებს, რომლებიც ეხება პირის გადაადგილებას ქვეყნის შიგნით, როგორც საკვანძო საერთაშორისო-სამართლებრივ ბაზას ადგილნაცვალ პირთა დასაცავად,

შემფოთებულია რა კონფლიქტების შედეგად საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის ძალდატანებითი ცვლილების გამო,

აგრეთვე შემფოთებულია რა ჰუმანიტარული სიტუაციით, გამოწვეული 2008 წლის აგვისტოში შეიარაღებული კონფლიქტით, რომელსაც თან მოჰყვა სამოქალაქო მოსახლეობის ახალი იძულებითი გადაადგილება;

აცნობიერებს რა გარდაუვალ საჭიროებას, იპოვნოს საქართველოში იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა,

ხაზს უსვამს რა ჟენევაში 2008 წლის 15 ოქტომბერს დაწყებული განხილვის მნიშვნელობას და ადგილნაცვალ პირთა და ლტოლვილთა ნებაყოფლობითი, უსაფრთხო, ღირსეული და დაუბრკოლებელი დაბრუნების საკითხის განხილვის გაგრძელებას საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებისა და კონფლიქტების მოწესრიგების პრაქტიკის საფუძველზე;

ცნობად იღებს რა გენერალური ასამბლეის 2 მოხსენებას 62/249 რეზოლუციის შესრულების შესახებ,

1. აღიარებს ყველა ადგილნაცვალ პირისა და ლტოლვილის და მათი შთამომავლების, მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობისა, დაბრუნების უფლებას სახლებში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში.

2. ხაზს უსვამს აუცილებლობას, დაცული იქნეს საქართველოში კონფლიქტებისაგან დაზარალებული ყველა ადგილნაცვალ პირისა და ლტოლვილის ქონებრივი უფლებები და თავი შეიკავონ ამ უფლებების დარღვევით საკუთრების შეძენისაგან.

3. ადასტურებს დემოგრაფიული მდგომარეობის ძალდატანებითი შეცვლის დაუშვებლობას.

4. ხაზს უსვამს გარდაუვალ აუცილებლობას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კონფლიქტებით დაზარალებულ ყველა რაიონში მცხოვრები ყველა ადგილნაცვალ, ლტოლვილი და სხვა პირის დაუბრკოლებელი მისაწვდომობის უზრუნველყოფას ჰუმანიტარული მიზნით.

5. მოუწოდებს ჟენევის განხილვების ყველა მონაწილეს, გაააქტიურონ თავიანთი ძალისხმევა მტკიცე მშვიდობის დასამყარებლად, შეთანხმდნენ ნდობის განმტკიცების უფრო ეფექტიან

ღონისძიებებზე და დაუყოვნებლივ გადადგან ნაბიჯები ადამიანის უფლებების პატივისცემის უზრუნველსაყოფად და უსაფრთხოების სფეროში ისეთი პირობების შესაქმნელად, რომლებიც ხელს შეუწყობენ ყველა ადგილნაცვალი პირისა და ლტოლვილის ნებაყოფლობით, უსაფრთხო, ღირსეულ და დაუბრკოლებელ დაბრუნებას მისი წარმოშობის ადგილებში;

6. ხაზს უსვამს გრაფიკის შემუშავების აუცილებლობას, რომელიც უზრუნველყოფდა საქართველოში კონფლიქტისგან დაზარალებული ყველა ადგილნაცვალი პირისა და ლტოლვილის ნებაყოფლობით, უსაფრთხო, ღირსეულ და დაუბრკოლებელ დაბრუნებას თავიანთ სახლებში.

7. სთხოვს გენერალურ მდივანს, გენერალურ ასამბლეას თავის 64-ე სესიაზე წარუდგინოს ყოვლისმომცველი მოხსენება ამ რეზოლუციის შესრულების შესახებ.

8. ადგენს, თავისი 64-ე სესიის წინასწარ დღის წესრიგში ჩართოს პუნქტი სათაურით „გაჭიანურებული კონფლიქტები სუამის სივრცეში და მათი შედეგები საერთაშორისო მშვიდობის, უსაფრთხოებისა და განვითარებისათვის“.

104-ე პლენარული სხდომა,

2009 წლის 9 სექტემბერი.

<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N09/506/40/PDF/N0950640.pdf?OpenElement>